შ.პ.ს. "დიდგორი-2011" "Didgori-2011" Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისში, ჩიტაძის ქუჩა №9-ში მრავალფუნქციური
შენობის კორექტირებული პროექტის
კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო შეფასება

დირექტორი ნ. სილაგაძე

შპს "დიდგორი-2011" 404901111 DIDGORI-2011 LTD

ჩიტაძის ქ. №9-ში მრავალფუნქციური

შენობის კორექტირებული პროექტი.

კონსტრუქციული ნაწილი

საექსპერტო შეფასება

საპროექტო ობიექტის მისამართია ქ. თბილისი ჩიტაძის ქ. №9.

საკადასტრო კოდი 01.15.05.059.007

საექსპერტოდ წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

1. არქიტექტურული ნაწილი;
2. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;
3. კონსტრუქციული ნაწილი;
4. კონსტრუქციული ანგარიშის ელექტრონული დასკვნა.

კვლევითი ნაწილი

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის თანახმად ნაგებობა დაფუძნებულია თიხოვან გრუნტებზე საანგარიშო წინაღობით 2.0კგ/სმ^2. სამშენებლო მოედნის სეისმოაქტიობა 8 ბალი. საანგარიშო მოდელი წარმოადგენს კავშირებიან სისტემას სვეტებისა და დიაფრაგმების ერთობლიობა გაერთიანებულია გადახურვის ხისტი დისკით.

საძირკველი წარმოადგენს წიბოვან ფილას საერთო სიმაღლით 0.9მ, ფილა 0.5მ, წიბო 0.4მ.. ბეტონის კლასი B20.

კოლონები სხვადასხვა კვეთის 0.4X0.4(მ); 0.4X0.6(მ); 0.4X0.8(მ) ბეტონის კლასი B20.

რიგელები - სიმაღლით 0.5მ ფილასთან ერთად ბეტონის კლასი B20.

გადახურვის ფილები - სისქით 0.2მ ბეტონის კლასი B20.

კედლების შევსება და ტიხრები – წვრილი საკედლე ბლოკი.

სახურავი – რულონური.

კიბეები – ასაწყობი მოზაიკური რკინაბეტონის კოსოურებზე.

ნაგებობა რთული ფორმის გამო გაყოფილია სადეფორმაციო ნაკერით. ანგარიშის ანალიზიდან ჩანს, რომ ყველა დინამიკური ფაქტორი აკმაყოფილებს რესპუბლიკაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ გაგვაჩნია შემდეგი შენიშვნები:

1. დასამუშავებელია ლიფტის შახტები;
2. მითითებული არ არის კედლების შევსების ჩამაგრება მზიდ კონსტრუქციებთან;
3. დასამუშავებელია პარაპეტის კედლების ჩამაგრება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნა დამუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა კონსტრუქტორის მიერ (კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე)

ექსპერტი თ. ადეიშვილი

დასკვნა: საბოლოოდ წარმოდგენილი პროექტი სრულყოფილია და რეალიზაციისთვის ეძლევა რეკომენდაცია.

ექსპერტი თ. ადეიშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები პნ 03.01-09
2. სეისმომედეგი მშენებლობა პნ 01.01-09
3. შენობებისა და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08



Curriculum Vitae

პირადი ინფორმაცია:	
სახელი გვარი	თენგიზ ადეიშვილი
დაბადების თარიღი	1959 წლის 24 აგვისტო
მისამართი	თბილისი, ვაჟა ფშაველას II კვ. 24 კორპ. ბინა 36
ტელეფონი	599 967 127
ელექტრონული ფოსტა	Tengiz.adeishvili@gmail.com
მოქალაქეობა	ქართველი
განათლება/გამოცდილება	
პერიოდი(დან–მდე)	2010–2014 (მიმდინარე)
სასწავლო დაწესებულება	ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლა (1966-76) ტყიბულის მუსიკალური საშუალო სკოლა (შვიდწლედი) (1967-74) ტყიბულის ტექნიკური სასწავლებელი - მიწისქვეშა გამონამუშევრების მშენებელ-გამმაგრებლის სპეციალობით. (1976-77) სამხედრო მშენებლის სპეც. კურსები (1978 - 80წწ) სპეციალობები: სან.ტექნიკური, სავენტილაციო და მზიდი სააშენებლო კონსტრუქციების მონტაჟი; მხატვრული მოზაიკა და ფილებით მოპირკეთება. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1982-1987) - კვალიფიკაცია: მიმოსვლის გზათა ინჟინერ მშენებელი.
სამუშაო გამოცდილება	1977-1978 წლებში ვმუშაობდი ტყიბულის შახტში, მიწისქვეშა გამონამუშავრების მშენებელ-გამმაგრებლად. 1978-80 წლებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის განმავლობაში ვიყავი სამხედრო მშენებელი. 1982-89 წლების განმავლობაში ვმუშაობდი ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებაში სატვირთო დისპეტჩერად. 1991 წელს მუშაობა დავიწყე თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში „ლითონკონსტრუქცია“, (შემდგომში მის ბაზაზე შექმნილ იქნა სააქციო საზოგადოება „თბილფოლადკონსტრუქცია“ რომლის თანამშრომლად და აქციონერად ვითვლები დღემდე) ოსტატის, სამუშაოთა მწარმოებლის და უბნის უფროსის თანამდებობებზე. 2010 წელს პარალელურად სამსახური დავიწყე რუსთავის შ.პ.ს „კონსტრუქციაში“. თავდაპირველად მიწვეულ სპეციალისტად, ხოლო შემდეგსამშენებლო- სამონტაჟო უბნის უფროსის თანამდებობაზე. საამშენებლო სამსახურის პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული რამოდენიმე სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტის მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში. მათ შორისაა: მუსკომედიის თეატრი, ავტო-ტექდათვალიერების კომპლექსი ქსნის ქუჩაზე, ფუნიკულიორი, ხელვაჩაურის ციტრუსების ქარხანა, ქუთაისი კონტროლის პალატის შენობა, გორის დაბომბილი კორპუსების აღდგენა-რეკონსტრუქცია,

	ავლაბრის სამთავრობო რეზიდენცია, მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა „სნო“, ბათუმის იუსტიციის სახლი, სარფის საბაჟო, საგანგებო სიტუაციათა მართვის ცენტრი „112“, ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია-მშენებლობა, რუსთავის ავტოდრომი; ასევე შესრულებული მაქვს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და გამაგრება-გაძლიერების საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. 2014 წლიდან ვმუშაობ შ.პ.ს.-ში „ბინექსი“. (სამუშაოთა მწარმოებელი; უბნის უფროსი; ტექნიკური განყოფილების უფროსი.)
უცხო ენები	რუსული (კარგი) გერმანული (დაწყებითი)
კომპიუტერული პროგრამები	MS office Word MS office PowerPoint MS office Excel AutoCAD